



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

2021 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება	8
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	9
2.1 გადასახადები.....	9
2.2 სხვა შემოსავლები.....	10
2.2.1 დივიდენდები	12
3. არაფინანსური აქტივების კლება	13
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	14
4.1 ხარჯები.....	15
4.2 არაფინანსური აქტივების ზრდა	18
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება	18
6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია.....	20

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების
სამართლებრივი
საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მოხსენების
დოკუმენტური
საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება „2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური
ბიუჯეტის
შესრულების
მიმდინარეობის
შესახებ ანგარიშის
მომზადებაზე
პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო
აუდიტის
სამსახურის
პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიშში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება, კერძოდ:

შემოსულობები

2021 წლის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 78.1%-ით, ანუ გეგმის შესრულებას 57,799.7 ათასი ლარი დააკლდა, ხოლო გადასახდელის ფაქტობრივი მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 74 %-ია და 65,207.0 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ამასთანავე, ნაშთის გამოყენების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდის პირობებში, 2021 წლის 9 თვეში, ნაშთად რიცხული საბიუჯეტო სახსრები 21,007.0 ათასი ლარით გაიზარდა და 42,678.3 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო განსაზღვრაზე მიუთითებს.

ბიუჯეტის გეგმა შეუსრულებელია შემოსავლების ნაწილშიც. კერძოდ: საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობამ 198,464.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის – 65.3%, ხოლო 9 თვის გეგმის 86.4% შეადგინა.

- 2021 წლის 9 თვეში საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 191,789.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის – 66.1%, ხოლო 9 თვის გეგმის 87.1%-ია და 16.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე და 9.1 პროცენტული პუნქტით - 2020 წლის მაჩვენებელზე. რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2021 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მოცულობა არ შეცვლილა და 290 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილება ქვეყანაში დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ განაპირობა, თუმცა აღნიშნული ცვლილებით საშემოსავლო გადასახადის გეგმა არ შეცვლილა, ხოლო ფაქტიური შესრულება კი მნიშვნელოვნად ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს, რაც საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.

- 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით, „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობამ 6,674.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის – 47.9%, ხოლო 9 თვის გეგმის 70.9%-ია. ამასთანავე, არ შესრულებულა „სხვა

შემოსავლების“ არც ერთი კომპონენტის გეგმური მაჩვენებელი და მათი შესრულება 3.9%-დან, 61.9 %-მდე მერყეობს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, გაკეთდეს ფაქტობრივი გარემოებების სათანადო ანალიზი და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში სრულად იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრისა და შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

დივიდენდები

2021 წლის 9 თვეში დივიდენდების სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხა 1,119.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 37.3%, ხოლო 9 თვის გეგმის 56%-ია. 2021 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ სამ საწარმოს. აღნიშნული საწარმოები, წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (საბიუჯეტო გეგმის 90-95%).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება. დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია, თუმცა კვლავ ვერ მოხერხდა საწარმოთა ბალანსზე რიცხული 29 მილიონი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივების საკუთრებაში რეგისტრირება და ასევე არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს. არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

გადასახდელები

2021 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 185,826.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 74 %-ია და 17.1 და 22.2 პროცენტული პუნქტებით ნაკლებია 2019 და 2020 წლების მაჩვენებლებზე. რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2021 წლის გადასახდელების გეგმა 85,747.9 ათასი ლარით გაიზარდა, თუმცა 9 თვის შედეგებით გეგმის შესრულებას 65,207.0 ათასი ლარი დააკლდა. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (414,221,9 ათასი ლარი) სრულად იქნება ათვისებული, წლის ბოლო სამი თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებელი 76,131.7 ათას ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი ცხრა თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს (20,647.4 ათასი ლარი) 72.9 %-ით, ანუ 3.7-ჯერ გადააჭარბებს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების მასშტაბური ათვისების ტენდენცია და შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

ნაშთის ცვლილება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 21,671.2 ათას ლარს შეადგენდა. ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის

დასკვნებსა და მოხსენებებში, თუმცა გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული 21,671.2 ათასი ლარის ნაშთიდან, რესპუბლიკურ ბიუჯეტში ნაშთის შემცირების გეგმური მაჩვენებელი მხოლოდ 2,000.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 21,284,7 ათას ლარამდე გაიზარდა. 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით, ნაშთად რიცხული საბიუჯეტო სახსრები შემცირების ნაცვლად, 21,007.0 ათასი ლარით გაიზარდა და 42,678.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასა და ამ მიმართებით არსებული რეზერვების არასრულად გამოყენებაზე მიუთითებს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც არსებითად გაზრდის ახალი პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობები – 326,474.0 ათასი ლარით, გადასახდელები კი – 328,474.0 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა 2,000.0 ათას ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახაზინო ანგარიშებზე ნაშთად ირიცხებოდა 21,671.2 ათასი ლარი.

2021 წლის ივნისში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგად შემოსულობების გეგმა– 392,937.2 ათას ლარამდე (66,464.2 ათასი ლარით, 20.4 %-ით), ხოლო გადასახდელების გეგმა – 414,221.9 ათას ლარამდე (85,747.9 ათასი ლარით, 26.1%-ით) გაიზარდა. გაიზარდა ნაშთის ცვლილების(შემცირების) გეგმური მაჩვენებელი, რომელმაც 21,284.7 ათასი ლარი შეადგინა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, გეგმური მაჩვენებლების ცვლილება ქვეყანაში დაფიქსირებულმა მაღალმა ეკონომიკურმა აქტივობამ განაპირობა, თუმცა გაზრდილი პარამეტრების დასაბუთება ვერ იქნა წარმოდგენილი.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის წლიური ბიუჯეტი (1)	2021 წლის ბიუჯეტის კანონ-საბოლოო (2)	2021 წლის 9 თვის ბიუჯეტი (3)	2021 წლის 9 თვის ფაქტი (4)	გადახრა (3)-(4)	9 თვის ბიუჯეტის შესრულება (4)/(3)	წლიური ბიუჯეტის შესრულება (4)/(2)
შემოსულობები	326,474.0	392,937.2	264,663.5	206,833.8	57,799.7	78.1%	52.6%
გადასახდელები	328,474.0	414,221.9	251,033.8	185,826.8	65,207.0	74.0%	44.9%
ნაშთის ცვლილება	-2,000.0	-21,284.7	+13629.7	+21,007.0	7,377.3	154.1%	

2021 წლის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 78.1%-ით, ანუ გეგმის შესრულებას 57,799.7 ათასი ლარი დააკლდა, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 74 %-ია და 65,207.0 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ამასთანავე, ნაშთის გამოყენების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდის პირობებში, 2021 წლის 9 თვეში, ნაშთად რიცხული საბიუჯეტო სახსრები 21,007.0 ათასი ლარით გაიზარდა და 42,678.3 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო განსაზღვრაზე მიუთითებს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშგების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლების მოცულობამ 198,464.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის – 65.3%, ხოლო 9 თვის გეგმის 86.4% შეადგინა. 2021 წლის 9 თვეში მიღებული შემოსავალი, 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11,212.7 ათასი ლარი ნაკლები, ხოლო 2020 წლის მაჩვენებელზე - 22,440.8 ათასი ლარით მეტია.


ცხრილი 2. შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის წლიური გეგმა-საბოლოო	2021 წლის 9 თვის გეგმა	2021 წლის საკასო შესრულება	გადახრა	9 თვის გეგმის შესრულება	წლიური გეგმის შესრულება
	1	-2	-3	-4	(3)-(4)	(4)/(3)	(3)/(2)
გადასახადები	290,000.0	290,000.0	220,250.0	191,789.6	28,460.4	87.1%	66.1%
სხვა შემოსავლები	9,474.0	13,937.2	9,413.5	6,674.8	2,738.7	70.9%	47.9%
სულ:	299,474.0	303,937.2	229,663.5	198,464.4	31,199.1	86.4%	65.3%

2.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი საშემოსავლო გადასახადზე მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 95.4%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, 2021 წლის 9 თვეში საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 191,789.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის – 66.1%, ხოლო 9 თვის გეგმის 87.1%-ია და 16.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე და 9.1 პროცენტული პუნქტით -2020 წლის მაჩვენებელზე.

დიაგრამა 1. საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულების დინამიკა 2016-2021 წლებში (ათასი ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები 2020 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2020 წლის 9

თვის შედეგებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.9%-ით შემცირდა, რაც 2020 წელს საქართველოში პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების შედეგია. 2021 წლის 9 თვეში საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები გაიზარდა 191,789.6 ათას ლარამდე, თუმცა ის 7,237.7 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2021 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მოცულობა არ შეცვლილა და 290 მლნ ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის 9 თვეში საშემოსავლო გადასახადის საბიუჯეტო გეგმის შესრულებას 28,460.4 ათასი ლარი დააკლდა, რაც საბიუჯეტო გეგმის 12.9 %-ია.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილება ქვეყანაში დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ განაპირობა, თუმცა აღნიშნული ცვლილებით საშემოსავლო გადასახადის გეგმა არ შეცვლილა, ხოლო ფაქტიური შესრულება კი მნიშვნელოვნად ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს, რაც საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.

2.2 სხვა შემოსავლები

2021 წლის ბიუჯეტის კანონით სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი – 13,937.12 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის მაჩვენებელი 9,413.5 ათასი ლარით განისაზღვრა. 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით, „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობამ 6,674.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის – 47.9%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 70.9%-ს შეადგენს.

ცხრილი 3. სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2020 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა საბოლოო	2020 წლის 9 თვის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება წლიური გეგმის	შესრულება 9 თვის გეგმის
	1	2	3	4	(3)-(4)	(4)/(2)	(4)/(3)
შემოსავლები საკუთრებიდან	8,200.0	10,767.0	7,104.5	4,928.8	2,175.7	45.8%	69.4%
პროცენტები	3,300.0	5,000.0	3,100.0	2,723.7	376.3	54.5%	87.9%
დივიდენდები	3,000.0	3,000.0	2,000.0	1,119.8	880.2	37.3%	56.0%
რენტა	1,900.0	2,767.0	2,004.5	1,085.3	919.2	39.2%	54.1%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	300.0	690.0	531.9	426.5	105.4	61.8%	80.2%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100.0	100.0	75.0	3.9	71.1	3.9%	5.2%

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	874.0	2,380.2	1,702.1	1,315.6	386.5	55.3%	77.3%
სულ:	9,474.0	13,937.2	9,413.5	6,674.8	2,738.7	47.9%	70.9%

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად „სხვა შემოსავლების“ 2021 წლის გეგმური მაჩვენებელი 1,506.2 ათასი ლარით გაიზარდა და 13,937.2 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა 9 თვის შედეგების შესაბამისად გეგმა შესრულებულია 70.9%-ით, ანუ გეგმის შესრულებას 2,738.7 ათასი ლარი დააკლდა. ამასთანავე, არ შესრულებულა „სხვა შემოსავლების“ არც ერთი კომპონენტის გეგმური მაჩვენებელი. კერძოდ:

- „დივიდენდის“ სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით არ შეცვლილა და 3,000.0 ათას ლარს შეადგენს, თუმცა 2021 წლის 9 თვეში მიღებულია 1,119.8 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმური მაჩვენებლის 56 %-ია.

- „რენტის“ სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით 1,900.0 ათასი ლარიდან, 2,767.0 ათას ლარამდე გაიზარდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,085.3 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმური მაჩვენებლის 54.1%-ია.

- „ჯარიმების, სანქციებისა და საურავების“ სახით მისაღები შემოსავლების გეგმა, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად არ შეცვლილა და 100,0 ათასი ლარით განისაზღვრა, თუმცა აღნიშნულ სახეში 2021 წლის 9 თვეში მიღებულმა შემოსავლებმა 3.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმური მაჩვენებლის 3.9 %-ია. წარმოდგენილი განმარტებით, დაბალი შესრულების მაჩვენებელი კოვიდპანდემიის გამო მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათების შედეგია, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ბიუჯეტში ცვლილების განხორციელებამდე იყო ცნობილი და სათანადო დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი იყო მისი გათვალისწინება.

წარმოდგენილ ანგარიშში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრისა და შესრულების მაჩვენებელთან მკვეთრი გადახრების გამომწვევი მიზეზები არ არის განმარტებული. ზემოაღნიშნულისა და წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ არსებითი მოცულობის გადახრები


განპირობებულია „სხვა შემოსავლების“ ფაქტობრივი და საპროგნოზო მონაცემების არასათანადო ანალიზით და შესაბამისად, არასწორად განსაზღვრით.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია გაკეთდეს ფაქტობრივი გარემოებების სათანადო ანალიზი და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში სრულად იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრისა და შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

2.2.1 დივიდენდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან, ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა 3,00.0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა - 2,00.0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2021 წლის 9 თვეში დივიდენდების სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხა 1,119.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 37.3%, ხოლო 9 თვის გეგმის 56%-ია.

დიაგრამა 2. 2016-2021 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)



2021 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს, კერძოდ: შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს გადახდილი აქვს 1,030.7 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას“ -61.3 ათასი ლარი და შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების გადამზადების ცენტრს“ – 27.9 ათასი ლარი. აღნიშნული საწარმოები, წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (საბიუჯეტო გეგმის 90-95%).

მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ 8 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება, ხოლო 1 საწარმო ლიკვიდაციის რეჟიმშია. ამასთანავე, მოქმედია 22 საწარმო, რომელთაგან 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი აქვს 12 საწარმოს. აღნიშნული ანგარიშგებების შესაბამისად, საწარმოთა 2020 წლის შემოსავალი საერთო ჯამში 11,748.3 ათას ლარს შეადგენს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, დივიდენდი ბიუჯეტში გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება. დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია, თუმცა კვლავ ვერ მოხერხდა საწარმოთა ბალანსზე რიცხული 29 მილიონი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივების საკუთრებაში რეგისტრირება და ასევე არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს. არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, გამოკვლევულ იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი

საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2021 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 185,826.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 74%-ია და 17.1 და 22.2 პროცენტული პუნქტებით ნაკლებია 2019 და 2020 წლების მაჩვენებლებზე.

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის წლიური გეგმა-საბოლოო	2021 წლის 9 თვის გეგმა	2021 წლის 9 თვის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება წლიური გეგმის	შესრულება 9 თვის გეგმის
	1	2	3	4	(3)-(4)	(4)/(2)	(4)/(3)
გადასახდელები	328,474.0	414,221.90	251,033.80	185,826.80	65,207.0	44,9%	74,0%
ხარჯები	226,603.0	293,830.90	195,741.70	142,205.30	53,536.40	48,4%	72,6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	98,341.40	116,600.40	52,428.30	40,894.50	11,533.80	35,1%	78,0%
ვალდებულების კლება	3,529.60	3,790.50	2,863.80	2,727.0	136.80	71,9%	95,2%

რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2021 წლის გადასახდელების გეგმა 85,747.9 ათასი ლარით გაიზარდა, თუმცა 9 თვის შედეგებით გეგმის შესრულებას 65,207.0 ათასი ლარი დააკლდა. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (414,221,9 ათასი ლარი) სრულად იქნება ათვისებული, წლის ბოლო სამი თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებელი 76,131.7 ათას ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი ცხრა თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს (20,647.4 ათასი ლარი) 72.9 %-ით, ანუ 3.7-ჯერ გადააჭარბებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში ხშირად აღინიშნება, ფისკალური წლის დასასრულს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად გახარჯვის რისკები. ამ მიმართებით 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ტენდენცია კიდევ უფრო საყურადღებოა და კონტროლის დამატებითი მექანიზმების შემოღებას საჭიროებს.

დიაგრამა 3. გადასახდელების ათვისების დინამიკა 2019 -2021 წელი (ათასი ლარი)



➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების მასშტაბური ათვისების ტენდენცია და შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

3.1 ხარჯები

2021 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 76.5% (142,205.3 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 48.4%-ია.

ცხრილი 5. 2021 წლის ხარჯების გეგმის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა საწყისი	2021 წლის წლიური გეგმა-საბოლოო	2021 წლის 9 თვის გეგმა	2021 წლის 9 თვის საკასო ხარჯი	ცვლილება +/-	გადახრა (3)-(4)	შესრულების პროცენტი 9 თვის გეგმასთან (4)/(3)	შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან (4)/(2)
ხარჯები	226,603.0	293,830.9	195,741.7	142,205.3	67,227.9	53,536.4	72.6%	48.4%
შრომის ანაზღაურება	38,528.7	37,932.7	28,195.4	27,083.2	-596.0	1,112.2	96.1%	71.4%
საქონელი და მომსახურება	42,663.4	48,655.9	38,734.7	29,971.9	5,992.5	8,762.8	77.4%	61.6%
პროცენტები	1,020.2	752.0	415.2	388.5	-268.2	26.7	93.6%	51.7%
სუბსიდიები	9,708.9	13,338.4	8,725.8	5,033.1	3,629.5	3,692.7	57.7%	37.7%
გრანტები	8,2927.9	140,098.1	78,180.6	53,838.3	5,7170.2	24,342.3	68.9%	38.4%
სოციალური უზრუნველყოფა	17,449.6	21,631.0	17,316.9	16,242.4	4,181.4	1,074.5	93.8%	75.1%
სხვა ხარჯები	34,304.3	31,422.8	24,173.1	9,647.9	-2,881.5	14,525.2	39.9%	30.7%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ხარჯების მუხლის 2021 წლის ასიგნება 67,227.9 ათასი ლარით გაიზარდა და 293.830.9 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა 2021 წლის 9 თვეში ხარჯების მუხლით ათვისებულია 142,205.3 ათასი ლარი, რაც 53,536.4 ათასი ლარით ჩამორჩება

გეგმურ მაჩვენებელს და წლიური საბიუჯეტო გეგმის 48.4%-ს შეადგენს. ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი, ძირითადად, გამოწვეულია პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით, თუმცა ჩვენი ანალიზით ეს პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებაში არსებული ხარვეზების შედეგაცაა. მაგალითად:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო 2021 წელს ახორციელებს ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1,362.8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 662.8 ათას ლარს. ასიგნების ათვისებლობა არასათანადოდ შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოთა არასათანადო დაგეგმვის შედეგია, რის გამოც საანგარიშო პერიოდში პეტრას ციხის ხიდის მოწყობისა და ხინოს ნაეკლესარის რეაბილიტაციაზე ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და მიმდინარეობს არსებული პროექტების გადახედვა. ღვთისმშობლის ეკლესიისა და ცენტრალური მეჩეთის სამუშაოების მწარმოებელმა კომპანიებმა ვერ წარმოადგინეს დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ, ანალოგიურად, საანგარიშო პერიოდში ვერ დასრულდა პროგრამით გათვალისწინებული არქეოლოგიური გათხრები, რის გამოც ანგარიშსწორება მეოთხე კვარტლისათვის გადავადდა.

„ხარჯების“ მუხლში ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი, ძირითადად, გამოწვეულია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების საკასო შესრულების დაბალი მაჩვენებლით.

ცხრილი 6. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა 1	2021 წლის 9 თვის გეგმა 2	2021 წლის 9 თვის ფაქტი 3	გადახრა (2)-(3)	შესრულება 9 თვის გეგმის (3)/(2)	შესრულება წლიური გეგმის (3)/(1)
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	108,757.9	65,084.1	43,436.3	2,1647.8	66.7%	39.9%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	61,959.0	38,800.0	24,265.3	14,534.7	62.5%	39.2%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	21,373.4	11,130.0	9,272.5	1,857.5	83.3%	43.4%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	7,225.4	3,567.4	2,828.1	739.3	79.3%	39.1%
ქედის მუნიციპალიტეტი	5,671.3	4,466.7	2,368.2	2,098.5	53.0%	41.8%
შუახევის მუნიციპალიტეტი	6,400.0	3,600.0	1,679.8	1,920.2	46.7%	26.2%
ხულოს მუნიციპალიტეტი	6,128.7	3,520.0	3,022.4	497.6	85.9%	49.3%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	28,160.9	10,664.0	8,790.0	1,874.0	82.4%	31.2%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	12,776.9	3,379.1	3,379.1	0	100.0%	26.4%

ქობულეთის მუნიციპალიტეტი	8,452.4	2,336.5	1,756.5	580.0	75.2%	20.8%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,556.9	1,058.9	433.9	625.0	41.0%	27.9%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,074.7	774.7	774.7	0	100.0%	72.1%
შუახევის მუნიციპალიტეტი	1073.0	698.0	424.8	273.2	60.9%	39.6%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,226.8	2,416.8	2,021.1	395.7	83.6%	62.6%

მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებიდან ირკვევა, რომ ბიუჯეტის ათვისებლობა განპირობებულია საქართველოში პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვებით, თუმცა ინფრასტრუქტურული სამუშაოების სათანადო დაგეგმვის და რეგულაციების დაცვით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო გეგმის მაღალი მაჩვენებლით შესრულება.

მაგალითად:

- ქედის მუნიციპალიტეტს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი 4,466.7 ათასი ლარიდან, 2021 წლის 9 თვეში ათვისებული აქვს 2,368.2 ათასი ლარი, ანუ 41.8%. ამასთანავე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად ირკვევა, რომ 314,5 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, საპროექტო დოკუმენტაციის არარსებობისა და სხვადასხვა ტექნიკური ხარვეზის გამო არ გაფორმებულა, ხოლო 294,8 ათასი ლარის პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებები დაგვიანებით - 2021 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში გაფორმდა და შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი არ არის გაწეული.

- შუახევის მუნიციპალიტეტს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი 3,600,0 ათასი ლარიდან, 2021 წლის 9 თვეში ათვისებული აქვს 1,679,8 ათასი ლარი, ანუ 46.7%. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად ირკვევა, რომ 1605,9 თასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, საპროექტო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების გამო დაგვიანებით გაფორმდა, ხოლო 838.4 ათასი ლარის ღირებულების პროექტების შესრულება, შემსრულებელი კომპანიის არაკვალიფიციურობის გამო, შეფერხებებით მიმდინარეობს. აღნიშნულიდან

გამომდინარე, 2021 წელს სავარაუდოდ ვერ მოხერხდება 1162,0 ათასი ლარის ათვისება.

ამრიგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან ერთად, არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შედეგია, რის გამოც მოსახლეობა დადგენილ ვადაში ვერ ახერხებს პროექტების შედეგებით სარგებლობას.

3.2 არაფინანსური აქტივების ზრდა

2021 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადახდამ 40,894.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 35.1%-ია და 5,049.3 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის 9 თვეში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა 11,533.8 ათასი ლარით ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს. განსაკუთრებით დიდი მოცულობით ბიუჯეტის ათვისებლობა ფიქსირდება: „საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში – 1,020.8 ათასი ლარი (გეგმა - 2,000.0 ათასი ლარი, ფაქტი - 979.2 ათასი ლარი); საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში - 4,719.6 ათასი ლარი (გეგმა - 26,540.5 ათასი ლარი, ფაქტი - 21,820.9 ათასი ლარი); „ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ პროგრამაში - 1,205.9 ათასი ლარი (გეგმა - 8,048.8 ათასი ლარი, ფაქტი 6,842.9 ათასი ლარი). საბიუჯეტო ასიგნების ათვისების მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებებმა ვერ უზრუნველყვეს, პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის სათანადო ანალიზი და ოპტიმალური, საგანგებო პირობებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რის გამოც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გამოუყენებელი დარჩა.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 21,671.2 ათასი ლარს შეადგენდა. გადასახდელების გეგმის შეუსრულებლობის შედეგად, ფინანსური აქტივები(ნაშთი) დაგეგმილი შემცირების


ნაცვლად 21,007.1 ათასი ლარით გაიზარდა და 2021 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით 42,678.3 ათასი ლარი შეადგინა.

დიაგრამა 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში, თუმცა გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული 21,671.2 ათასი ლარის ნაშთიდან, ბიუჯეტის კანონით რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებებში გაიწერა მხოლოდ 2,000.0 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 21,284,7 ათას ლარამდე გაიზარდა, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით საბიუჯეტო სახსრების ნაშთის გამოყენება არ მომხდარა.

დიაგრამა 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო პარამეტრები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2021 წლის 9 თვის მონაცემებით, გადასახდელების გეგმის შესრულებლობის შედეგად, საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, დაგეგმილი შემცირების ნაცვლად, გაიზარდა. შესაბამისად, ფინანსური აქტივების სრულად ათვისების მთელი სიმძიმე მეოთხე კვარტალზეა გადატანილი. რაც ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასა და ამ მიმართებით არსებული რეზერვების არასრულად გამოყენებაზე მიუთითებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ახალი პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას.

6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2021 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას (95.1%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელია – საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების კუთხით (62.5%), რაც ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების ათვისების დაბალი მაჩვენებლის შედეგია.

ცხრილი 6. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის წლიური გეგმა	2020 წლის 9 თვის გეგმა	2020 წლის 9 თვის ფაქტი	გადახრა	9 თვის გეგმის შესრულება	წლიური გეგმის შესრულება
	1	2	3	(2)-(3)	(3)/(2)	(3)/(1)
აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო	5 216,80	3 964,80	3 334,70	630,10	84,1%	63,9%
აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისია	701	526	500,1	25,90	95,1%	71,3%
აჭარის ა/რ მთავრობა	3 017,90	2 378,30	2 224,30	154,00	93,5%	73,7%
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	123 757,10	64 711,60	51 076,60	13 635,00	78,9%	41,3%
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	63928	43 059,50	34 878,90	8 180,60	81,0%	54,6%
აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	30 709,50	25 461,20	22 153,00	3 308,20	87,0%	72,1%
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	18 972,90	11 703,90	9 683,80	2 020,10	82,7%	51,0%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	167 918,60	99 228,50	61 975,40	37 253,10	62,5%	36,9%
ჯამი:	414 221,80	251 033,80	185 826,80	65 207,00	74,0%	44,9%

საყურადღებოა, რომ 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი 9 თვის გეგმის 74%-ია, თუმცა ცალკეული პროგრამები და ქვეპროგრამები ათვისების კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან.

ცხრილი 7. რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამების დასახელება	2020 წლის 9 თვის გეგმა	2020 წლის 9 თვის საკასო ხარჯი	ათვისება (%-ად)	განმახორციელებელი სამინისტრო
04 13 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	506,000.00	19,909.0	3.9%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	237,000.00	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	206,000.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
05 06 02	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	750,000.0	64,761.8	8.6%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
05 10 02	უმალესი განათლების ხელშეწყობა	40,000.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
05 14 01 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	722,080.0	56,700.0	7.9%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	153,000.0	11,400.0	7.5%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
05 18 02 02	გართობა და შემეცნება	284,755.0	9,300.0	3.3%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
05 18 04 01	კარიერული განვითარების ხელშეწყობა	131,900.0	14,590.3	11.1%	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
06 10 05	კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	11,000.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	546,174.0	137,993.0	25.3%	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
09 07 04	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში	86,320.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
09 09	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემების ფინანსური უზრუნველყოფა	36,000.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
09 13	ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა	160,155.0	0.00	0.0%	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ზემოაღნიშნული ქვეპროგრამებიდან ათვისებული დარჩა 3,555.7 ათასი ლარი, რაც წარმოდგენილი განმარტებით, ქვეყანაში პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების შედეგია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით, აღნიშნული პროგრამების, როგორც შესრულების თვალსაზრისით პრობლემური პროგრამების, განხილვა არ მომხდარა და კვლავ სრულად გათვალისწინებულია ბიუჯეტში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რიგი პროგრამების საბიუჯეტო გეგმა გაიზარდა მაშინ როცა საანგარიშო პერიოდში ათვისება საერთოდ არ განხორციელებულა. კერძოდ:

- „ტურიზმის დარგში სერვისების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის წლიური ასიგნება თავდაპირველი ბიუჯეტით 376,000.0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის - 40.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების¹ შედეგად წლიური ასიგნება 416.0 ათას ლარამდე, ხოლო 9 თვის -206.0 ათას ლარამდე გაიზარდა, თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

- ანალოგიური მდგომარეობაა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“, საბიუჯეტო ასიგნების ათვისების კუთხითაც. კერძოდ, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით, პროგრამის წლიური ბიუჯეტი 100.0 ათასი ლარიდან 180.0 ათას ლარამდე გაიზარდა, ხოლო 9 თვის ბიუჯეტმა კი 40.0 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების საკასო ხარჯი არ ფიქსირდება. წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად, აუთვისებლობა ძირითადად განაპირობა პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა, თუმცა აღნიშნული შეზღუდვები ბიუჯეტის ცვლილების პერიოდისთვის ცნობილი იყო და პროგრამებით განსახორციელებელ ღონისძიებათა სათანადო ანალიზის პირობებში შესაძლებელი იყო ოპტიმალური ასიგნების განსაზღვრა. აღნიშნული, საბიუჯეტო პროცესის არასათანადო დაგეგმვა - განხორციელებაზე მიუთითებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს შესრულების პერსპექტივის გათვალისწინებით პრობლემური პროგრამები, მათთვის ასიგნების ოპტიმალურად განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს, გამოთავისუფლებული საბიუჯეტო რესურსის გამოყენებით, ახალი პროგრამების განხორციელებას.

¹ ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 21 ივნისს